შ.პ.ს “ლ ი ლ ე ო”

LTD “L I L E O”

/№924(D)/

07. 03. 2018 წ.

ფუძე-საძირკვლების და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება

ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი ნაკვ№ №01.72.14.039.480 შპს “სანთომი”-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის, კონსტრუქციების, ფუძე საძირკვლების და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება

თბილისი

2018 წელი

შინაარსი

ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი, საკ. კოდით №01.72.14.039.480 შპს “სანთომი”-ს წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) კონსტრუქციული პროექტის, ფუძე საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების მოწყობის შესაძლებლობაზე.

პროექტის მიმოხილვა

პროექტის კორექტირებით შენობის კონსტრუქციული გადაწყვეტა არ იცვლება. აღნიშნული პროექტის მიხედვით ხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელსაც არ გააჩნია მიწისქვეშა სართული, შენობის პირველი სართული ავტოსადგომია,
მეორე სართული დამხმარე, ხოლო დანარჩენი სართულები საცხოვრებელი ფართებითაა დაკომპლექტებული. საპროექტო შენობის კონსტრუქციული მახასიათებლები წარმოდგენილია შემდეგი სახით: შენობის ძირითადი და მზიდი საანგარიშო სქემა სტანდარტული ტიპის მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული სქემითაა ნაწარმოები და გაანგარიშებული. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით კონსტრუქციული

გადაწყვეტილება წარმოებულია შემდეგი სახით: ფუძე-საძირკვლების მოთხოვნების შესაბამისად და გაანგარიშების მიხედვით შენობის საძირკველი უნდა მოეწყოს მონოლითურ რკინა-ბეტონის გაძლიერებულ ფილაზე. სამშენებლო ნორმატივებისა და ფუძე-საძირკვლების მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ იქნა კონსტრუქციული ნაწილი, სადაც გაანგარიშება ნაწარმოებია გამოთვლით პრორამა LIRA-ზე ფუძე-საძირკვლების ანგარიშებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

ფუძე-საძირკვლების კვლევა

კვლევის შედეგად შევისწავლეთ საპროექტო შენობის ფუძე-საძირკვლები და ყველა ის ძირითადი კონსტრუქციები, რაც შენობის

შემადგენელი ნაწილია. ფუძე-საძირკვლები ძირითადად მოცემულია რკინა-ბეტონის ფილაზე, სადაც გაძლიერების სახით დამატებით ჩასმულია არმირებული ბადეები სეისმურ მონაკვეთებში. წარმოდგენილი ფუნდამენტი დაფუძნებულია გეოლოგიური მონაცემების მიხედვით IV-შრეზე. გამოყენებულია D28 A-III კლასის არმირება, რომელიც ანგარიშის მიხედვით განსაზღვრულია გრუნტის საანგარიშო წონაზე და დატვირთვაზე. აღნიშნულ უბანზე არ გამოვლინდა აგრესიული მიწისქვეშა წყლები. შესაბამისად კონსტრუქციული გეგმარება ფუძე-საძირკვლებთან მიმართებაში სრულიად ოპტიმალური გადაწყვეტილებაა მოცემულ ლაბორატორიულ შედეგებზე დაყრდნობით, სადაც გაანგარიშებაში დაცულია ჰიდრო-საინჟინრო პირობები და სულფატოვანი ბეტონი საძირკვლებში. ვინაიდან რელიეფი სწორზედაპირიანია და გააჩნია მცირედი სხვაობები გაანგარიშების მიხედვით ოპტიმალური გადაწყვეტილებაა ფუძე-საძირკვლების მდგრადობის კუთხით რკინა-ბეტონის ფილის საძირკველი. წარმოდგენილი ფუნდამენტები მდგრადობის თვალსაზრისით საიმედო და დამაკმაყოფილებელია, კვლევის შედეგად არ არის მოსალოდნელი ფუძე-საძირკვლების გათვალისწინებით არათანაბარი ჯდენითი პროცესები და არათანაბარი ძალვების განვითარება, ვინაიდან გაანგარიშება ნაწარმოებია ფუძე-საძირკვლების მოთხოვნების შესაბამისად შენობის მოცულობისა და კონსტრუქციული სირთულის გათვალისწინებით. საძირკველზე გამოყენებულია B-25 W8 (სტანდარტი 300 მარკა) მარკიანი სტანდარტით აღებული სულფატმედეგი ბეტონი და გეგმარება ხორციელდება სტანდარტული ტიპის კარკასული დაპროექტების სახით, რაც კონსტრუქციული თვალსაზრისით მოცემულ ანგარიშებში არის წარმოდგენილი. ჩვენს მიერ შესწავლილი ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დიდი დიღომი საკ. კოდით №01.72.14.039.480 ზემოთ ხსენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მზიდი დანიშნულების ელემენტების კონსტრუქციული მდგომარეობა, წარმოდგენილ პროექტისა და მუშა ნახაზების გათვალისწინებით დამაკმაყოფილებელია და მისაღები, შესაბამისად კვლევის საფუძველზე ფუძე-საძირკვლებსა და ძირითად მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს ეძლევა დადებითი შეფასება.

დასკვნა:

კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაცია კერძოდ: კონსტრუქციულ ნაწილი, ფუძე საძირკვლები და სხვა ძირითადი კონსტრუქციები შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და გაანგარიშების საფუძველზე. კონსტრუქციული გათვლებითა და საანგარიშო სქემის მიხედვით კონსტრუქციული პროექტი საიმედო და მისაღებია. მოცემული კონსტრუქციული პროექტის საფუძველზე დაგეგმილი სამშენებლო

სამუშაოების წარმოება მისაღებია და ეძლევა დადებითი შეფასება.

.

დირექტორი: **ალექსანდრე ყურაშვილი**

კონსტრუქტორ-ექსპერტი: **ალექსანდრე ყურაშვილი**





DF created wi pdfFactory Pro rial version ww .pdffactory.com



DF created wi pdfFactory Pro rial version ww .pdffactory.com



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY



ბაკალავრის დიპლომი

BACHELOR'S DIPLOMA

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

DF created wi pdfFactory Pro rial version ww .pdffactory.com

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

With honours

STU № 000839

This is to certify that Mr./Ms. Alexander
Name, Surname
Kurashvili

was enrolled in 2002 in Georgian Technical University and in 2006

completed the requirements of Faculty of
Civil Engineering

Bachelor's Degree of the University

with major in Industrial and Civil Engineering

By the decision of the State Qualification Commission, September
Month, Day, Year
18, 2006, Mr. Alexander Kurashvili
Name, Surname

was awarded the Academic Degree of

Bachelor of Civil Engineering

Seal

Rector

Dean

City: Tbilisi

Registration # 06535

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

STU № 000839

ეძლევა ალექსანდრე ქურაშვილს

მასზედ, რომ იგი 2002 წელს ჩაირიცხა და 2006

წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო

ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი სამრეწველო და სამოქალაქო

მშენებლობის

სპეციალობით

საკვალიფიკაციო კომისიის 2006 18. 9 გადაწყვეტილებით
(წელი,რიცხვი,თვე)

ალექსანდრე ქურაშვილს მიენიჭა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მშენებლის

კვალიფიკაცია

რექტორი

დეკანი

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო ნომერი 06535

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16100505, 19/07/2016 16:23:14

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ლილეო
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404902496
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	29/06/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, იპ. ხვიჩიას ქ., N 16, ბ. 11
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	lileo.lileo@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01024034907, ალექსანდრე ყურაშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01024034907, ალექსანდრე ყურაშვილი	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა**102015093109 03/04/2015 13:20:02**

  შ\პ\ს შპს ლილეო ს/ნ 404902496

  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**

  საფუძველი: **შეტყობინება, N0069504, 03.04.2015, შემოსავლების სამსახური**

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com